პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 დეკემბერი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 294 (15507)

შრომითი გამარჯვება ვოლგაპირზე

მშენებლებს, მემონტაჟეებს, საპროექტო ორგანიზაციათა მუშაკებს, ავტომობილმშენებლებს, ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის ყველა მონაწილეს

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულთბილად გილოცავენ სახელოვან შრომითს გამარჯვებას — ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მესამე რიგის ამოქმედებას, საპროექტო სიმძლავრემდე — წელიწადში 660 ათასი მსუბუქი ავტომობილი-მისი სიმძლავრის გადიდებას და „ჟიგულის“ მეხუთასათასე ავტომობილის გამოშვებას.

რეკორდულად მოკლე ვადებში უდიდესი სამრეწველო კომპლექსისა და 150 ათასი მცხოვრებისათვის ახალი საცხოვრებელი რაიონის შექმნა კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს ჩვენს უდიდეს ძლიერებას, სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, პოლიტიკურ ალმავლობას, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ეს თქვენი გმირული შრომის შედეგია, ძვირფასო ამხანაგებო.

ეს მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომელთა მიღწევაში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, დამაჯერებლად ადასტურებენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობას და კარგი საჩუქარია ჩვენი სამშობლოსათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსშესანიშნავი დღეების წინ.

საავტომობილო ქარხნის მშენებლობა მშენებელთა და ავტოქარხნელთა კადრების ჭეშმარიტი სამეცდლო გახდა, რომელთა შორის შრომობენ სსრ კავშირის 80 ეროვნებისა და ერის წარმომადგენლები. სრულიად საკავშირო კომკავშირულ მშენებლობაზე ჩამოსულმა ათასობით ქალაშვილმა და ჭაბუკმა აქ მიიღო მაღალი კვალიფიკაცია, კარგი მუშური წრთობა. ბევრი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა. ღირსეულად აგრძელებს უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს, პირველი ხუთწლედების მშენებელთა ტრადიციებს.

შთაგონებული შრომა კოლექტივებისა, რომლებიც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ ვოლგის საავტომობილო კომბინატის მშენებლობასა და ავტომობილების წარმოებაში, ამასთან გამოჩენილი მასობრივი შემოქმედებითი ენთუზიაზმი სამუდამოდ შევა საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის მატიანეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ვოლგაზე შრომითი გმირობის ყველა მონაწილე, რომელთა მეცადინეობითა და ნიჭით შეიქმნა ეს საავტომობილო გიგანტი, კვლავაც პირნათლად იზრუნებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ბეჯითად იბრძოლებს იმისათვის, რომ შეასრულოს სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების, ამოქმედებულ სამშენებლოთა დამთავრების, ბალე ათვისებისა და საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი ზესრულებისათვის. ამ მიზნით ვაჩაღებულია 33 ავტოიენტარის მშენებლობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში.

გვწამს, რომ მოკლე ვადებში საავტომობილო კომპლექსის საწარმოო სიმძლავრეთა შექმნა და მათი ათვისების სწრაფი ტემპი იყო უწინარეს ყოვლისა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური ყურადღებისა და დახმარების შედეგი, ეხანგი პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ხალხის ეხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ვოლგის საავტომობილო ქარხნის შექმნაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპის დამთავრებას რომ ეუწყებიან, მშენებლოთა, მემონტაჟეთა და ავტომობილმშენებლთა კოლექტივები ალუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მთელ ძალა-ღონის, ეოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ საამშენებლო სამუშაოების უსწრაფესად დამთავრებასა და საპროექტო სიმძლავრეების მიღწევას.

დიე საუკუნეებში ეოცხლობდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი უროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ისწრაფიან ღირსეულად შეხვდნენ ღირსშესანიშნავ იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, ლენინის ორდენოსანი „კუიბიშევკომბინატის“, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროსა და საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ვოლგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივები, მშენებლობას ყველა მონაწილე მოხარული არიან მოახსენონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ ვოლგის საავტომობილო ქარხნის მესამე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის სოციალისტური ვალდებულებანი ვადამდე შეასრულეთ; ჩვენს ქვეყანაში ქალაქ ტოლიატის უდიდესი ავტომობილმშენებლობის საწარმოს სიმძლავრე ამიერიდან წელიწადში შეადგენს 660 ათას ავტომობილს წელიწადში.

1967 წელს კომუნისტური პარტიის ნებით რუსეთის დიდი მდინარის ვოლგის ნაპირზე გაჩაღდა თავისი მასშტაბით არნახული საავტომობილო გიგანტის მშენებლობა. სამი წლის შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხმწიფოს დამთარსებლის ვლადიმერ ილიჩ-ის ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ, ქარხნის მთავარი კონვეიერიდან გადმოვიდა პირველი ავტომობილები, 1970 წლის ბეკინაზონი ეი დაიწყო მათი სერიული გამოშვება.

დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ, ავტომობილების გამოშვების ტემპმა დღე-ღამეში 1.360 მანქანას მიაღწია. ქარხნის მესამე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემა დამოძღვა მეხუთასიათასე ავტომობილის „ჟიგულის“ გამოშვებას.

საავტომობილო ქარხნის კომპლექსის მშენებლობის დაწყებიდან ამენდა 2,1 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საწარმოო კორპუსები, რომლებშიც დამონტაჟებულია 150 კილომეტრი კონვეიერი და 16,5 ათასი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა. გაყვანილია 213 კილომეტრი ეზაგაკეთილი და 180 კილომეტრი რკინიგზის ხაზი, აწყობილია დაახლოებით 6 მილიონი კუბური მეტრი მონოლითური და ასაწყობი რკინაბეტონი, დამონტაჟებულია 300 ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქცია. ასეთია საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გიგანტური მოცულობა, რომელიც რეკორდულად მოკლე ვადაში შეასრულეს მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ავტომობილმშენებლებმა.

ქარხნის საამქროებში შექმნილია საჭირო პირობები მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

მშენებლობაზე ფართოდ იყო გამოყენებული პრინციპულად ახალი კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტანი, ეფექტიანი საშენი მასალები და გადიდებული საქარხნო კონსტრუქციები. საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები წარმოებდა დაპროექტების პარალელურად, რომელშიც მონაწილეობდა ქვეყნის ათობით წამყვანი საპროექტო ინსტიტუტი და ორგანიზაცია.

ქარხანასთან ერთად აშენდა ახალი თანამედროვე საცხოვრებელი რაიონი, რომელშიც აგებულია 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური ობიექტებით.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება, მშენებელთა, მემონტაჟეთა და ავტოქარხნელთა შემოქმედებითი ინიციატივა, რომელიც მათ მშენებლობის დროს გამოაღვიძეს, ყოველივე ეს ითვალისწინებდა დასახული მიზნების მიღწევას.

ჩვენს კოლექტივებში შრომობენ სსრ კავშირის 80 ეროვნებისა და ერის წარმომადგენლები. ავტოქარხნის უნიკალური კომპლექსის აგება ბკაფიოდ მოწმობს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მრავალეროვანი ოჯახის ძმურ თანამშრომლობას, მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ ვოლგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, რომელიც ასრულებს საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების მეცხრე ხუთწლედის დავალებებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, მუშაობს რიტმულად, სულ უფრო აჩქარებს წარმოების ტემპს. ამასთანავე ავტოქარხნელები განუხრელად ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, აუჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მთავრდება მზადება „ჟიგულის“ მარკის ავტომობილისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მისანიჭებლად. ათვისებულია ავტომობილი „ჟიგულ-უნივერსალის“ მასობრივი გამოშვება.

ხუთწლედის მეხამე, ბადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის რომ ვიბრძვიდა, ვიისრულობთ ვალდებულებას, რომ 1973 წელს მთლიანად ავათვისებთ ქარხნის პირველი და მეორე რიგის საპროექტო სიმძლავრეს, 2 ათას ცალამდე გავადიდებთ ავტომობილების საღღეიღამისო გამოშვებას და წლის დამლევამდე მთელი კომპლექსის საპროექტო სიმძლავრეს 91 პროცენტით ავითვისებთ.

ავტოქარხნის კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას, უკვე 1973 წელს მიაღწიოს ავტომობილ „ჟიგულის“ ძირითადი მოდელის საპროექტო შრომატევადობას; წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესების, დანაკარგების შემცირებისა და სხვა ღონისძიებების მეოხებით დაზოგოს 1.500 ტონა ლითონი; იბრძოლოს ავტომობილების თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის.

მომავალ წელს ავითვისებთ უკეთესი კომფორტულობისა და კიდევ უფრო მძლავრი ძრავის მქონე „ჟიგულის“ მარკის ავტომობილების წარმოებას.

განვაგრძობთ მუშაობას ავტომანქანების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, გავადიდებთ კვანძების, აგრეგატებისა და დეტალების გამაგლობას.

ქარხნის კოლექტივი ბეჯითად შრომობს ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და მომხმარებლთა სათადარიგო ნაწილებით უწყვეტელ-ყოფის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა ზესრულებისათვის. ამ მიზნით გაჩაღებულია 33 ავტოიენტარის მშენებლობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში.

ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲒᲐ

ᲖᲠᲘᲒᲐᲓᲐᲛ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წინა ხუთწლედში და მეცხრე ხუთწლედის ორ წელიწადში სასახელოდ იშრომა. მეოთხე ხუთწლედში ბრიგადამ სულ აწარმოვა 211.986 ცენტნერი მარცვლეული, რაც გეგმის 100.1 პროცენტს შეადგენს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 19,8 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18,3 ცენტნერისა.

მზესუმზირას მიღების გეგმა შესრულდა 102,8 პროცენტით. მიღწეულ იქნა საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის ეკონომია. უფრო მეტი წარმატება მოვიპოვეთ 1971-1972 წლებში. შარშან მარცვლეულის წარმოების გეგმა შესრულდა 152 პროცენტით. წელს წარმოებულია 64.325 ცენტნერი მარცვლეული. ეს კი გეგმის 153,4 პროცენტს შეადგენს. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 32,5 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 19,4 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა მზესუმზირას მოსავლის მიღების დავალება. წელს ხვნის გეგმა (რბილ ხვნაზე გადაყვანით) შესრულებულია 103,5 პროცენტით და ტონობით საწვავი დავზოგეთ.

სატრაქტორო ბრიგადამ ამ შემოდგომაზე დათესა 2.126 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულზე დათესება 2.000 ჰექტარი ხაგაზაფხლო კულტურები. ჩვენი ვალდებულებაა 1973 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად 20 ცენტნერისა.

სამუშაოთა შესრულებაში თავი გამოიჩინეს მექანიზატორებმა ნ. კერვალიძემ, მ. წოკლაურმა, ა. ზაქაიძემ, ი. წოკლაურმა, გ. ქავთარაძემ, ხ. სუნტაძემ, გ. მელიქიშვილმა, შ. გიგაურმა, ა. ბექაურმა, ი. ჩოხელმა, მ. ლალიაშვილმა, ქ. ყველაიძემ და სხვებმა. მათ გულით გაზიარეს ჩემი ხიხარული, ეს ჯილდო ბრიგადის წევრების მიერაც არის მოპოვებული.

პირობას ვდებ მომავალ წელს უფრო მეტი წარმატებები მოვიპოვო და მცირედი ვვლილი მეც შევიტანო პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

კვლავაც თავდადებით

ᲛᲣᲓᲐᲛ თავდადებულად ვშრომობდი და საიუბილეო წელსაც პირნათლად გავანაღდე ნაკისრი ვალდებულება. მოვკრიფე 13 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დიდი ზეიმის დღეებში ჩვენს შრომას მაღალი შეფასება მიეცა — მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. თუ რა გავაკეთე, ამის შესახებ მოკლედ მოვუთხრობ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

მამაჩემი დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში. იგი იბრძოდა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ და საკუთარი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დაცვის საქმეს. მაშინ მე დედას გვერდში ამოვუდექი, ვშველოდი შრომასა და პატარა და-ძმების აღზრდაში. საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და პლანტაციებში ვმუშაობდი.

მალე დავეუფლე ჩაის პლანტაციის მოვლის წესებს, კრეფაც შევისწავლე და პირველ წლებში 4-5 ტონა ჩაის ფოთოლს ვკრეფდი. 1946 წლიდან დაწყებული, არ მოვშორებივარ ჩაის პლანტაციებს და ყოველწლიურად ვზრდიდი ჩაის კრეფის მაჩვენებელს. 1970 წელს 0,5 ჰექტარზე მოვკრიფე და მრეწველობას ჩავაბარე 10 ტონა ჩაის ფოთოლი, 1971 წელს კი — 11 ტონა.

ამ საიუბილეო წელს უფრო მეტ წარმატებას მივაღწიე. — მოვკრიფე 13 ტონა ჩაის ფოთოლი. ბედნიერება მხვდა მიმეღო დიდი ჯილდო — ვავხდი სოციალისტური შრომის გმირი. ამ დაფასების პასუხად უფრო გავალიერებ მუშაობის ტემპს. ვარ პარტიის წევრებისა რაიკომის წევრი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წევრი.

მთელს ჩემს ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას მოვახმარ ახალი წარმატებების მოპოვებას. პირობას ვდებ სანმეშოდ მოვუარო ჩაის პლანტაციას და მომავალ წელს მოვკრიფო 13,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აქტიური მონაწილეობა მივიღო საზოგადოებრივი ცხოვრების, დისციპლინის დაცვაში.

დიდი მადლობა პარტიას და მთავრობას ჩემი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ᲗᲘᲜᲐ ᲕᲐᲜᲗᲣᲠᲘᲐ,

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

დაფასების კასუხად

ᲩᲔᲛᲡ ᲮᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲮᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, როცა პრესის ხასუალებთ შეეტყვე, რომ მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დიდი მადლობა კომუნისტურ პარტიას და მთავრობას. მხოლოდ მათი ზრუნვით შეიძლება ასე დიდად დაფასდეს ჭალის შრომა.

თვალწინ გაირბინა განვლილი ცხოვრების სურათებმა. გამახსენდა, როგორ ეყრებოდა საფუძველი ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას (ახლანდელი ძევერის საბჭოთა მეურნეობა). მაშინ მამაკაცების მხარდამხარ ვმუშაობდი, როგორც მუშა. შემდეგ აგროტექნიკოსი გავხდი. ერთ დღეს კი დირექციაში გამომძახეს და უბნის უფროსობა მომანდეს. ასე მოვედი 1956 წლამდე. მას შემდეგ კი დღემდე № 4 ბრიგადას ვხელმძღვანელობ.

ყოველთვის თავს ვეკლები, ზრუნვას არ ვაკლებ ვაშლის ხეებს, რომლებიც ჩემი დარგულია. მათ ჩემს თვალწინ აიყარეს ტანი და ფართოდ გაშალეს მხრები. კარგად არის ნათქვამი, მუნჯის ენა დედამ იცისო — ნელიწადის რა დროც უნდა იყოს, ვიცი, რას მეჩურჩულებიან ისინი, ვიცი რა ჭირდებათ...

წინა წლებზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. გასულ ხუთწლედში ჩემს ბრიგადაში ვაწარმოეთ და სახელმწიფოს მიეყიდეთ 28.708 ცენტნერი ხილი. გეგმა კი 22963 ცენტნერს ითვალისწინებდა. კარგი ,მოსავალი მივიღეთ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს. მეორე წელსაც გვასახელეს ჩვენმა ბიგადამ. 63,4 ჰექტარ ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე ვაწარმოეთ და მშრომელთა სუფრას გავუგზავნეთ 518 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი ნაცვლად 488 ტონისა.

სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება ძალიან ბევრს მავალებს.

ჩვენი ბრიგადა დიდი მონდომებით ჩაება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიკისრეთ 1973 წელს ჩვენზე მომაგრებულ 63,4 ჰექტარის საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 100 ცენტნერი ხილი, ნაცვლად 85 ცენტნერისა. მთლიანად კი ვაწარმოებთ და სახელმწიფოს მივყიდეთ 634 ტონა ხილს ნაცვლად 539 ტონისა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ,

გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის № 4 ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ, შაქრის ჭარხლის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სასოფლმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და მოსავლის აღების დროს შრომითი მამაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა უკრაინის სს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მთელი რიგი მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა. მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა. „სოფლტექნიკის“, დამამზადებელი, წყალსამეურნეო და საგრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქალაქების, სამრეწველო ცენტრების საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, კომკავშირელები და სტუდენტთა რაზმების ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსავლის აღებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ, შაქრის ჭარხლის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სასოფლმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის, და მოსავლის აღების დროს შრომითი მამაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა ყაზახეთის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკების, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების, ირკუტსკის, კემეროვოს, კურგანის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ტომსკის, ტიუმენის ოლქებისა და ტუვის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, — „სოფლტექნიკის“ დამამზადებელი და საგრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკები.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქალაქების, სამრეწველო ცენტრების საწარმოებისა და მშენებლობების მუშები, სტუდენტთა რაზმების ახალგაზრდობა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსავლის აღებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ იბეჭდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად და საწარმოო წარმატებებისათვის რუსეთის ფედერაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა დიდ ჯგუფს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს უთვლის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ყველა ფრანგ კომუნისტს.

XX ყრილობას საფრანგეთის კომპარტია ეგებება რიცხობრივად გაზრდილი, იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცებული, ხალხის ფართო მასებში დამსახურებული გავლენისა და ავტორიტეტის მქონე. მრავალი წლის მანძილზე თავიანთი უანგარო ბრძოლით კომუნისტებმა მოიპოვეს მშრომელი ხალხის, ყველა იმ ადამიანის ღრმა პატივისცემა და ნდობა, ვინც მონოპოლიებისაგან ჩაგვრას განიცდის.

ასრულებს რა ლენინის ანდერძს დემოკრატიულ და სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდასაქმნელად ბრძოლის წარმატებისათვის მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა მოქმედების ერთიანობის უპირველესი მნიშვნელობის შესახებ, საფრანგეთის კომპარტია დიდ მუშაობას ეწევა ფართო სახალხო კავშირის შესაქმნელად. საფრანგეთის მშრომელები სამართლიანად ხედავენ კომუნისტურ პარტიაში მათი მისწრაფებებისა და მოთხოვნების შეხრულების, მემარცხენე ძალების ერთობლივი პროგრამის განხორციელების საიმედო გარანტს.

საფრანგეთის კომპარტია თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომელიც დიდმა ლენინმა დაგვისახა. მას შეაქებდა და შეაქებს მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში, რადგან ეს მიაჩნია ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვან პირობად. ფრანგი კომუნისტები დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს.

საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალისტური ტრადიციების ერთგული ფრანგი კომუნისტები გამოხატავენ ქმედით სოლიდარობას გმირი ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ხალხებისადმი, არაბული ქვეყნების ხალხებისადმი, ყველასადმი, ვინც ილაშქრებს ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის დასკვნების საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის აქტიური ბრძოლით, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს განვითარებაში მონაწილეობით საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მომმე პარტიებისა და საერთაშორისო მუშათა კლასის პატივისცემა მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას შორის არსებობს ძმური მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის მტკიცე კავშირი, შემოწმებული ათობით წლის ერთობლივი ბრძოლით, რომელიც დფუძნებულია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებაზე. ორივე პარტიის პოზიციების ერთიანობა კვლავ დადასტურდა მათს 1971 წლის ივლისის ერთობლივ განცხადებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს მოძმე საფრანგეთის კომპარტიას ახალ წარმატებებს მისი რიგების განმტკიცებაში, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა შეკავშირებაში, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას — საფრანგეთის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს!

გაუმარჯოს საბჭოთა და ფრანგი კომუნისტების, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ, შაქრის ჭარხლის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სასოფლმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და მოსავლის აღების დროს შრომითი მამაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა უკრაინის სს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მთელი რიგი მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა. მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა. „სოფლტექნიკის“, დამამზადებელი, წყალსამეურნეო და საგრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქალაქების, სამრეწველო ცენტრების საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, კომკავშირელები და სტუდენტთა რაზმების ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსავლის აღებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

ხუთწლედის მესამე წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის

წითელწყაროს რაიონის სოფლის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებასა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

რთული კლიმატური პირობების მიუხედავად, ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში რაიონის მიწათმოქმედმა უფრო ადრე ფართობებზე მიიღეს 117.217 ტონა მარცვლეული, ჰექტარზე საშუალოდ გალიფეს 26,6 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 18,7 ცენტნერის ნაცვლად, სახელმწიფოს მიაყიდეს 54.024 ტონა მარცვლეული ვალდებულებით გათვალისწინებული 34.900 ტონის ნაცვლად. წელს მიღებულია მარცვლეულის, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების უხვი მოსავალი. რაიონის ყველა სახოგადოებრივმა მეურნეობამ შეასრულა მარცვლეულისა და მზესუმზირას წარმოებისა და დამზადების გეგმები და ვალდებულებანი.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ და სახელმძღვანელოდ ვიღებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკაჯ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“. ჩვენ ვკისრულობთ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლედის მესამე წლისათვის და მტკიცედ გვაქვს გადწყვეტილი არ დავიშურო ძალ-ღონე, ცოდნა, გამოცდილება, რათა მომავალ წელს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მარცვლეულის, მზესუმზირას, ჯარნის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და საკვები კულტურების წარმოება.

28 ათას ჰექტარ ურწყავ მიწებზე საშუალოდ ჰექტარ ნათესში მივიღეთ 27 ცენტნერ მარცვლეულს გეგმით გათვალისწინებული 20,4 ცენტნერის ნაცვლად, მათ შორის საშემოდგომო ხორბალს 18.200 ჰექტარ ფართობზე 28 ცენტნერს გეგმიური 20,8 ცენტნერის ნაცვლად, ქერს 6.240 ჰექტარ ფართობზე — 25 ცენტნერს და 3 ათას ჰექტარზე სიმინდის ყანაში მივიღეთ 22,5 ცენტნერს თვითეული ჰექტარზე. მარცვლეულის მთლიან წარმოებას გავადიდებთ 75 ათას ტონამდე გეგმიური 57 ათასი ტონის ნაცვლად. მარცვლეულის წარმოების გადიდებაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი „ალგეთი“. 11.500 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე გავლეწეთ საშუალოდ 32 ცენტნერ მარცვალს. სახელმწიფოს ბუნკერებში შევიტანთ 25 ათას ტონა მარცვლეულს, 8 ათასი ტონით მეტს, ვიდრე სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს.

სოფლების ზემო ჭედისა და ქვემო ჭედის კოლმეურნეობებმა გალდებულება იკისრეს ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი მარცვლეული, ცალკეულმა ბრიგადებმა კი უფრო მეტი. სოფელ ზემო ჭედის კოლმეურნეობის ბრიგადებმა, რომლებსაც მომსახურებას უწევს ნიკოლოზ მელიქიშვილის სატრაქტორო ბრიგადა, გადაწყვიტეს 2.100 ჰექტარ ხოდაბუნებში მიიღონ 35 ცენტნერი მარცვლეული თვითეული ჰექტარზე.

16 ცენტნერ მზესუმზირას მივიღებთ საშუალოდ 9 ათას ჰექტარ ნათესში. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა მზესუმზირას თესლის მოსავლიანობას 640 ჰექტარ ფართობზე გაადიდებს 22 ცენტნერამდე, სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის, სოფელ საბათლოს შაუმიანის სახელობისა და სოფელ არხილოსკალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 20 ცენტნერ მზესუმზირას თესლს. გეგმით გათვალისწინებული 6.700 ტონის ნაცვლად. რაიონის მეურნეობები სახელმწიფოს ჩაბარებენ 10 ათას ტონა ამ ტექნიკური კულტურის თესლს.

მიუხედავად იმისა, რომ სუსხიანი გაგრილებული ზამთრის შედეგად რაიონში გაიყინა დიდძალი ვაზი, მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ 1973 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი ყურძენი.

გადაწყვიტეს გავადიდოთ ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების ფართობები და გავზარდოთ მათი მოსავლიანობა იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებანი მათზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ მეცხოველეობის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნას. გავაფართოვებენ საკვები კულტურების ასორტიმენტს, მეტ ყურადღებას მიგაქცევთ ციოლი მდიდარი საკვები კულტურების წარმოებას. გავადიდებთ სენაჟის წარმოებას, დავაშენებთ 20 ათას ტონა ამ ძვირფას საკვებს, ერთიორად და მეტად, ვიდრე 1972 წელს. ვაწარმოებთ 45 ათას ტონა უხეშ საკვებს, ჩავდებთ 55 ათას ტონა სილოსს, ავიღებთ 20 ათას ტონა საკვებ ჭარხალს.

განვახორციელებთ სათიბებისა და საძოვრების ძირეულ და ზედაპირულ გაუმჯობესებას, მნიშვნელოვნად გავადიდებთ მათ პროდუქტიულობას, მტკიცედ დავიცავთ თესლბრუნვებს, გავაუმჯობესებთ მინდორსაცავი ტყის ზოლებს. მოვლას, საკვები კულტურების ნათესებში შევიტანთ 23 ათას ტონა მინერალურ და 50 ათას ტონა ორგანულ სასუქებს, გადაბრით ვიბრძოლებთ სარეველების, მავნებლებისა და მაღნელების წინააღმდეგ.

საკუთარი ძალებით განვახორციელებთ მცირე მელიორაციას 500 ჰექტარ ნაკვეთებში მდინარეების გაყოლებით, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ საკვები კულტურების მოსავლიანობა.

ფართოდ დავნერგავთ პირუტყვის საკვების წინასწარ მოშზადებას. განვახორციელებთ ყველა ღონისძიებას ფერმების მშენებლობის გეგმის უფრთოდ შესრულებისა და ფერმებში მექანიზაციის გაფართოებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით საერთო სულადობის ზრდასთან ერთად უზრუნველყოფთ სადგომ ჯოგის უპირატეს ზრდას ამ ანგარიშით, რომ ძროხის ხვედრითი წონა ჯოგში შეადგენდეს 35 პროცენტს, ცხვრის ნერბისა ფარაში — 75 პროცენტს, დედლებისა მეფრინველეობაში — 90 პროცენტს.

გავაუმჯობესებთ სანაშენე მუშაობას და ვეტერინარულ სამსახურს. მივაღწევთ იმას, რომ ყოველ კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და ფერმაში იყოს მაღალპროდუქტიული სანაშენე პირუტყვი. უზრუნველყოფთ მოზარდეულის ინტენსიურ სუქებას ამ ანგარიშით, რომ ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქანი პირუტყვის წონა იყოს სულ ცოტა 300 კილოგრამი, ღორისა — 110 კილოგრამი და ცხვრისა — 26 კილოგრამი.

ყოველ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ საშუალოდ 2.000 კილოგრამ რძეს, სოფელ სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობასა და სოფელ გამარჯვების ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში — საშუალოდ 3.000 კილოგრამს. მიგიღებთ ერთ ცხვარზე საშუალოდ 3 კილოგრამ მატყლს და ერთ მოქცევლზე — 160-მდე ბატკანს.

სოფელ გამარჯვების ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობა საშუალოდ ერთ ცხვარზე მიიღებს 3,5 კილოგრამ მატყლს, და თითო მოქცევლზე 180 ბატკანს. სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის და სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის შეცვლიანები ყოველ ცხვარზე მიიღებენ საშუალოდ 3,5 კილოგრამ მატყლს. ქალაქ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და სოფელ ოზაანის კოლმეურნეობაში აწარმოებენ ერთ ნიუსზე საშუალოდ 1.200 კილოგრამ ხორცს. შირაქის მეფრინველეობის სადგურთა მეურნეობის კოლიტაბიდი მიიღებს ერთ მოქცევლზე საშუალოდ 180 კვერცხს. ხუთწლეულის განმავლობაში რაიონის კოლმეურნეობებში ავაშენებთ მეფრინველეობის ფაბრიკებსა და მეფრინველეობის ფერმებს 180 ათასი მოქცევლისათვის.

1973 წელს სახელმწიფოს მივყიდით 5 ათას ტონა ხორცს გეგმით გათვალისწინებული 3.248 ტონის ნაცვლად, 12.500 ტონა რძეს დადგენილთან გათვალისწინებული 10.440 ტონის ნაცვლად, 19 მილიონ ცალ კვერცხს საგეგმო 15 მილიონის ნაცვლად და 500 ტონა მატყლს, რაც 40 ტონით აღემატება გეგმას.

გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას საზოგადოებრივ მეურნეობებში 20 პროცენტით, მეურნეობათა რენტაბელობას — 5 პროცენტით. შევამცირებთ ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას: მარცვლისას — 4,5 მანეთამდე, მზესუმზირასას — 6-მდე, ჯარნისას — 25-მდე, ძროხის ხორცისას — 130-მდე, ღორის ხორცისას — 120-მდე, ცხვრის ხორცისას 80-მდე, ფრინველის ხორცისას — 130-მდე, რძისას — 20-მდე, მატყლისას — 400-მდე და ათასი ცალი კვერცხისას — 60 მანეთამდე. მკვეთრად შევამცირებთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების თვითღირებულებას. 1 კაცდღეზე გაანგარიშებით გამოვიმუშავებთ 13 მანეთის პროდუქციას 1971 წლის 10 მანეთის ნაცვლად. ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტს გავზრდით 5 პროცენტით.

ამჟამად მთავრდება მუშაობა საგაზაფხულო კულტურების თესლის კონდიციურობის უზრუნველსაყოფად. ყველა საგაზაფხულო კულტურის თესვა 1973 წლის გაზაფხულზე იწარმოებს დარაიონებული ჯიშებით, პირველი კლასის თესლით. სიმინდისა და მზესუმზირას თესლს მთლიანად დავაკალიბრებთ.

თესვის საგაზაფხულო კამპანიის ორგანიზებული ჩატარებისათვის რაიონის მექანიზატორებმა გალდებულება იკისრეს დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ტექნიკა.

მორიგეობდება ჭმედითი ღონისძიებანი პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისა და ნამატის შენარჩუნებისათვის. მეცხოველეები შრომობენ დღეზითი — ზამთარშიც შევინარჩუნოთ პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობა.

საშოვადიერივ მეურნეობებში გაჩაღდა მუშაობა, რათა 1973 წლიდან შევიმუშაოთ სოციალურ-ეკონომიური განვითარების ჯრიტერიუმები, რომლებიც გამოვიყენებენ მეურნეობათა შემდგომ აყვავებასა და სრულყოფას, კადრების მოზარდებას, მათი პროფესიული ოსტატობის ზრდას, კულტურული, ტექნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებას, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საგზო მშენებლობასა და სოფლების კეთილმოწყობას. ამ გეგმებში შევა იდეურ-პოლიტიკური, კულტურულ-აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-მასობრივი ხასიათის ღონისძიებებიც.

იმისათვის, რომ შეასრულოთ ყველა ეს ვალდებულება, განვამტკიცოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, მნიშვნელოვნად გავამაღლებთ პირველადი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ როლს. წარმოების გადამწყვეტ უბნებზე განგიმტკიცებთ კომუნისტებითა და კომკავშირელებით.

ვიღებთ რა გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, ჩვენ განვაგრძობთ ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას კრასნოდარის მხარის ვისელკის რაიონისა და სიღნაღის რაიონის მშრომელებთან, აგრეთვე შეჯიბრებაში მიეწევით როსტოვის ოლქის აზოვის რაიონის სოფლის მშრომელებს. ჩვენ მოვიწოდებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ფართოდ გაშალონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მარცვლის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა-დამზადების გადიდებისათვის. სამშობლოს სახელითან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედებით მაღალი შრომითი მაჩვენებლებით, წარმატებით დავამთავრებთ მიმდინარე სამეურნეო წელს და კიდევ უფრო დიდი მიღწევებით აღვნიშნავთ ხუთწლედის მესამე წელს.

ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების კოლეგიებმა.

(საქინფორმი).



პასუხისმგებლობისა და მოთხოვნელობის ამაღლებისნიშნით

გაიმართა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა. მოხსენება სახელმწიფო და შრომით დისციპლინის ამაღლებისა და სამინისტროს საწარმოთა ამოცანების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრმა შ. დოლიძემ.

